

योग सूत्रानि पतञ्जलि

პატანჯალის იოგა სუტრები

თავი პირველი - სამადჰიპადა

თარგმანი - დევარატა დას (დავით თუთბერიძე)

ვერსია: 2026.10.14

समाधिपाद्

სამადჰიპადა – სრულყოფილი აღქმის შესახებ

1. अथ योगानुशासनम् ॥१॥

ატჰა იოგანუშასანამ

ატჰა – აჰა! (სარწმუნო გადმოცემა ჭეშმარიტი სწავლებისა);
იოგა – კავშირი, დაკავშირება;
ანუშასანამ – სწავლება, დოქტრინა;

- **აჰა სარწმუნო სწავლება ღმერთთან კავშირის აღდგენისა**

2. योगश्चित्तवृत्तिनिरोधः ॥२॥

იოგაშ ჩიტა–ვრიტი–ნიროდჰაჰ

იოგაშ – იოგა;
ჩიტა – ცნობიერება;
ვრიტი – ბრუნვა, მორევი; ამ შემთხვევაში – აღქმის პროცესი ანუ ცნობიერებაში აღძრული აზრებისა და ხატებების ნაკადი;
ნიროდჰი – ალაგმვა, მოთოკვა;

- **იოგა არის ცნობიერებაში აღძრული ტალღების მოთოკვა;**

3. तदा द्रष्टुः स्वरूपेऽवस्थानम् ॥३॥

ტადა დრაშტუჰ სვარუპე–ავასტჰანამ

ტადა – ამ დროს (როდესაც ცნობიერებაში აღძრული ტალღები მოთოკილია);
დრაშტურ – დამკვირვებელი(იოგი რომელმაც მოთოკა ცნობიერებაში აღძრული ტალღები);
სვარუპა – ცოცხალი არსების ჭეშმარიტი და მარადიული სულიერი ფორმა;
ავასტჰანამ – ურყევად, მტკიცედ დამკვიდრება;

- **ამ დროს დამკვირვებელი თავის მარადიულ სულიერ ფორმაში მკვიდრდება;**

4. वृत्ति सारूप्यमितरत्र ॥४॥

ვრიტი–სარუპიამ იტარატრა

ვრიტი – ცნობიერებაში აღძრული ტალღები;
სარუპია – იგივე, იდენტური ფორმა;

იტარატრა – სხვა დროს (როდესაც ცნობიერებაში აღძრული ტალღები მოთოკილი არაა);

- **სხვა დროს კი იგი საკუთარ თავს ცნობიერებაში აღძრულ ტალღებთან აიგივებს;**

5. वृत्तयः पञ्चतय्यः क्लिष्टाक्लिष्टाः ॥५॥

ვრიტაიაჰ პანჩატაიაჰ კლიშტაკლიშტაჰ
ვრიტაიაჰ – ცნობიერებაში აღძრული ტალღები;
პანჩატაიაჰ – ხუთი სახის;
კლიშტა – ტანჯვა;
აკლიშტა –ტანჯვისაგან თავისუფალი;

- **ცნობიერებაში აღძრული ტალღები რომელთაც მოაქვთ როგორც ტანჯვა ასევე შვება, ხუთნაირია:**

6. प्रमाण विपर्यय विकल्प निद्रा स्मृतयः ॥६॥

პრამანა–ვიპარიაია–ვიკალპა–ნიდრა–სმრიტაიაჰ
პრამანა – სინამდვილე (რეალობის აღქმა);
ვიპარიაია – ილუზია (დამახინჯებული აღქმა);
ვიკალპა – არარსებულის წარმოსახვა, ფანტაზია, ჰალუცინაცია;
ნიდრა – ძილი;
სმრიტი – მეხსიერება(გახსენება);

- **სინამდვილე, ილუზია, ფანტაზია, ძილი და გახსენება;**

7. प्रत्यक्षानुमानागमाः प्रमाणानि ॥७॥

პრატიაკშანუმანაგამაჰ პრამანანი
პრატიაკშა – უშუალო განცდა;
ანუმანა – გონებრივი განსჯა;
აგამა – სარწმუნო მოწმობები;
პრამანანი – სინამდვილის წყაროები;

- **სინამდვილის წყაროებია - უშუალო განცდა, გონებრივი განსჯა და სარწმუნო მოწმობები;**

8. विपर्ययो मिथ्याज्ञानमतद्रूप प्रतिष्ठम् ॥८॥

ვიპარიაიო მიტჰია–გიანამ ატად–რუპა–პრატიშტჰამ

ვიპარიაია – ილუზია (დამახინჯებული აღქმა);
მიტჰია – მცდარი;
გიანა – ცოდნა;
ატად – არა ის;
რუპა – ფორმა;
პრატიშტჰა – შეესაბამება;

- **ილუზია მცდარი ცოდნაა და არ შეესაბამება სინამდვილეს;**

9. शब्दज्ञानानुपाती वस्तुशून्यो विकल्पः ॥९॥

შაბდა–გიანანუპატი ვასტუ–შუნიო ვიკალპაჰ

შაბდა–გიანანუპატი – გრამატიკულად სწორი გამონათქვამი;
ვასტუ – არსი;
შუნია – სიცარიელე;
ვიკალპა – ფანტაზია;

- **ფანტაზია არის გრამატიკულად გამართული მაგრამ არსს მოკლებული იდეა;**

10. अभावप्रत्ययालम्बना तमोवृत्तिर्निद्रा ॥१०॥

აბჰავა–პრატიაია–ალამბანა ტამოვრიტირ ნიდრა

აბჰავა – არარსებობა;
პრატიაია – აზროვნება;
ალამბანა – დაყრდნობილი;
ტამას – ინერტულობა;
ვრიტი – ცნობიერების ცვალებადობა;
ნიდრა – ძილი;

- **ძილი ინერტული ტალღებია, რომელიც აღიძვრება აზროვნების ბუნებრივი არარსებობისას;**

11. अनुभूतविषयासंप्रमोषः स्मृतिः ॥११॥

ანუბჰუტა–ვიშაიასამპრამოშაჰ სმრიტიჰ

ანუბჰუტა – უშუალო განცდა, აღქმისას მიღებული გამოცდილება;
ვიშაია – აღქმის ობიექტი;
ასამპრამოშა – არდაკარგვა;

სმრიტი – მეხსიერება;

- **მეხსიერება – აღქმული ობიექტის ხატების არდაკარგვის უნარია;**

12. अभ्यासवैराग्याभ्यां तन्निरोधः ॥१२॥

აბჰიასა–ვაირაგიაბჰიამ ტან–ნიროდჰა
აბჰიასა – პრაქტიკა, ვარჯიში;
ვაირაგიაბჰიამ – განდეგილობით;
ტან – მათი;
ნიროდჰა – მოთოკვა;

- **ცნობიერებაში აღძრული ტალღების მოთოკვა შესაძლებელია ვარჯიშითა და განდეგილობით;**

13. तत्र स्थितौ यत्नोऽभ्यासः ॥१३॥

ტატრა სტჰიტაუ იატნო 'ბჰიასაჰ
ტატრა – იქ (სულიერებაში);
სტჰიტაუ – დამკვიდრება;
იატნა – შეგნებული ძალისხმევა;
აბჰიასა – ვარჯიში;

- **ვარჯიში არის სულიერებაში დასამკვიდრებლად საჭირო შეგნებული ძალისხმევა;**

14. स तु दीर्घकाल नैरन्तर्य सत्कारादरासेवितो दृढभूमिः ॥१४॥

სა ტუ დირგჰა-კალა ნაირანტარია სატკარასევიტო დრიდჰა–ბჰუმიჰ
სა – ეს (ძალისხმევა);
ტუ – მაგრამ;
დირგჰა – ხანგძლივი;
კალა – დრო;
ნაირანტარია – განუწყვეტლივ;
სატკარასევიტო – ყურადღებით გამსჭვალული;
დრიდჰა–ბჰუმი – ფესვგადგმული;

- **ეს ძალისხმევა მხოლოდ ხანგძლივი, უწყვეტი და გაცნობიერებული ვარჯიშის შემდეგ ხდება საფუძვლიანი;**

15. दृष्टानुश्रविकविषयवितृष्णस्य वशीकारसंज्ञा वैराग्यम् ॥१५॥

დრიშტანუშრავიკა–ვიშაია–ვიტრიშნასია ვაშიკარასანია ვაირაგიამ

დრიშტა – ნანახი;

ანუშრავიკა – გაგონილი, ასევე ვედებში(შრუტი) აღწერილი და ტრადიციად ქცეული რიტუალები;

ვიშაია – მატერიალური ობიექტი;

ვიტრიშნასია – ძლიერი მისწრაფების შეკავება;

ვაშიკარასანია – გაბატონება;

ვაირაგიამ – განდეგილობა;

- **განდეგილობა ქვია როცა ადამიანი თავშეკავების მეშვეობით გაბატონდება მიწიერ მისწრაფებებზე და მშვიდად ეკიდება ნანახს, გაგონილს თუ წმინდა წერილების ხატოვანი ენით აღწერილ და ტრადიციად ქცეულ რიტუალებს;**

16. तत्परं पुरुषख्यातेः गुणवैतृष्ण्यम् ॥१६॥

ტატ–პარამ პურუშა–კჰიატერ გუნა–ვაიტრიშნიამ

ტატ – ის (განდეგილობა);

პარამ – უმაღლესი;

პურუშა–კჰიატერ – სულიერი ხედვა;

გუნა–ვაიტრიშნიამ – მატერიალური სამყაროს სამი გუნით (სატვა, რაჯასი, ტამასი) გამოწვეული მისწრაფებების დაძლევა არა თავშეკავებით, არამედ მათდამი ინტერესის გაქრობის გამო, რაც თავის მხრივ გამოწვეულია ახალი სულიერი ინტერესების, ემოციებისა და შეგრძნებების წარმოშობით.

- **უმაღლესი განდეგილობა კი სულიერი ხედვის მიღწევისას მიწიერი მისწრაფებებისადმი ინტერესის დაკარგვაა;**

17. वितर्कविचारानन्दास्मितारूपानुगमात्संप्रज्ञातः ॥१७॥

ვიტარკა ვიჩარ–ანანდა–ასმიტა–რუპანუგამატ სამპრაგიატაჰ

ტარკა - ლოგიკა, განსჯა, ვიტარკა - სრულყოფილი ლოგიკა. გარე ობიექტების (სტიქიები - მიწა, წყალი, ცეცხლი, ჰაერი, სივრცე) შეცნობა კონცენტაციისა და განსჯის საშუალებით; ვიჩარ – აღქმის პროცესის შეცნობა შიდა ობიექტებზე (საკუთარ აზროვნებაზე), კონცენტრაციის გზით; ანანდა – არამიწიერი ნეტარება; ასმიტა – „მეობა“ – საკუთარი მეობის შეგრძნება; რუპანუგამატ – ერთიან ფორმაში; სამპრაგიატაჰ – სამპრაგია სამადჰი.

- **კონცენტრაცია ჯერ არის ვიტარკა (გარე ობიექტებზე), შემდგომ ვიჩარ (საკუთარ აზრებზე). შედეგად ცნობიერება, შესაცნობი ობიექტი და შეცნობის პროცესი ერთ ფორმაში შეირწყმება და დამკვირვებლისაგან**

განცალკევდება. დამკვირებელი ხედავს რომ იგი მატერიალური ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებობს და ამის გამო არამიწიერი ნეტარება ეუფლება. ეს არის სამპრაგია სამადჰი;

18. विरामप्रत्ययाभ्यासपूर्वः संस्कारशेषोऽन्यः ॥१८॥

ვირამა–პრატიაიაბჰიასაჰ პურვა–სამსკარაშეშო ‘ნიაჰ

ვირამა – შეჩერებული ცნობიერება;
პრატიაიაბჰიასაჰ – განდეგილობითა და ვარჯიშის საშუალებით;
პურვა - მანამდე;
სამსკარაშეშო – კარმიული ანაბეჭდებისაგან თავისუფალი;
ანიაჰ – სხვანაირი ანუ ასამპრაგიატაჰ სამადჰი – ცნობიერების მიღმა დაუნჯება;

- განდეგილობისა და ვარჯიშის შემდგომი გაგრძელების წყალობით ცნობიერება ჩერდება და თავისუფლდება კარმიული ანაბეჭდებისაგან. ამ დროს აღქმა სხვანაირი (ცნობიერების მიღმა) ხდება. ეს არის ასამპრაგია სამადჰი;

19. भवप्रत्ययो विदेहप्रकृतिलयानम् ॥१९॥

ბჰავა–პრატიაიო ვიდეჰა–პრაკრიტილაიანამ

ბჰავა – ხასიათი, ბუნება;
პრატიაიო – განდეგილობა;
ვიდეჰა – სხეულიდან გამოსული;
პრაკრიტილაიანამ – მატერიალური ელემენტებთან შერწყმა, ანუ სტიქიების მართვის შესაძლებლობა;

- ზოგიერთი იბადება სრულყოფილი აღქმის უნარით მაგრამ არასაკმარისი განდეგილობის გამო მათ შესაძლოა გაუჩნდეთ მისწრაფება გამოვიდნენ სხეულიდან და მართონ სტიქიები როგორც ღმერთებმა;

20. श्रद्धावीर्यस्मृति समाधिप्रज्ञापूर्वक इतरेषाम् ॥२०॥

შრადჰა–ვირია–სმრიტი–სამადჰი–პრაგია–პურვაკა იტარეშამ

შრადჰა – რწმენა;
ვირია – გმირობა, თავგანწირვა;
სმრიტი – დამახსოვრება;
სამადჰი – დაუნჯება;
პრაგია – თვითანალიზი;
პურვაკა – წინ უსწრებს;
იტარეშამ – სხვები;

- **სხვებისათვის კი სრულყოფილი აღქმის განცდას წინ უსწრებს რწმენა, თავგანწირვა და მიზნის არდავიწყება;**

21. तीव्रसंवेगानामासन्नः ॥२१॥

ტივრა–სამვეგანამ ასანაჰ
ტივრა – ინტენსიური;
სამვეგანამ – ძლიერი მისწრაფება;
ასანაჰ – ახლოა;

- **რაც უფრო ინტენსიურია კონცენტრაცია და ძლიერია მისწრაფება, მით უფრო ახლოა მიზანი;**

22. मृदुमध्याधिमात्रत्वात्ततोऽपि विशेषः ॥२२॥

მრიდუ მადჰია–დჰიმატრატვა' ტატო' პი ვიშეშაჰ
მრიდუ – ნაზი, სუსტი;
მადჰია – საშუალო;
დჰიმატრატვა – უკიდურესად ინტენსიური;
ტატა – აქედან;
აპი – ასევე;
ვიშეშაჰ – შედეგები;

- **კონცენტრაციის დაბალი ინტენსიურობიდან საშუალოზე და შემდეგ უკიდურესად მაღალზე გადასვლა – აი ეს იძლევა შედეგს;**

23. ईश्वरप्रणिधानाद्वा ॥२३॥

იშვარა–პრანიდჰანად–ვა
იშვარა – ღმერთი;
პრანიდჰანა – წყალობის იმედი;
ვა – ასევე;

- **ასევე ღმერთის წყალობის იმედი (ღმერთზე მინდობა);**

24. क्लेश कर्म विपाकाशयैःपरामृष्टः पुरुषविशेष ईश्वरः ॥२४॥

კლეშა–კარმა–ვიპაკაშაიაირ აპარამრიშტაჰ პურუშავიშეშა იშვარაჰ
კლეშა – სატანჯველი;
კარმა – მიზეზ-შედეგობრივი კავშირი;
ვიპაკაშაია – ქვეცნობიერში დაფარული შთაბეჭდილებები;

აპარამრიშტაჰ – შეურყვნელი;
პურუშავიშეშა – განსაკუთრებული პიროვნება;
იშვარა – ღმერთი;

- **ღმერთი ის განსაკუთრებული პიროვნებაა რომელსაც ვერ ეხება ამქვეყნიური სატანჯველი, მიზეზ-შედეგობრივი კავშირები თუ ქვეცნობიერში დაფარული შთაბეჭდილებები;**

25. तत्र निरतिशयं सर्वज्ञबीजम् ॥२५॥

ტატრა ნირატიშაიამ სარვა–გნია–ბიჯამ
ტატრა – მასში;
ნირატიშაიამ – შეუდარებელი;
სარვა – ყოველი;
გიანა – ცოდნა;
ბიჯამ – მაცვალი, თესლი

- **მასში შეუდარებელი სიდიადით სუფევს ყოველი ცოდნის საწყისი თესლი;**

26. स एष पूर्वेषामपिगुरुः कालेनानवच्छेदात् ॥२६॥

სა ეშაჰ პურვეშამ–აპი–გურუჰ კალენა–ანავაჩჰედატ
სა ეშაჰ – რადგანაც ის;
პურვეშამ – უძველესი;
აპი – აგრეთვე;
გურუ – მოძღვარი;
კალენა–ანავაჩჰედატ – რაზედაც დრო არ მოქმედებს;

- **ჟამთა სრბოლაში დაუსაბამო იგი არის ყველა დროის მოძღვართ მოძღვარი;**

27. तस्य वाचकः प्रणवः ॥२७॥

ტასია ვაჩაკაჰ პრანავაჰ
ტასია – მისი;
ვაჩაკა – გამოითქმის;
პრანავა – წმინდა მარცვალი „ომ“ – ომკარა;

- **სახელი მისი გამოითქმის როგორც ომკარა;**

28. तज्जपः तदर्थभावनम् ॥२८॥

ტაჯჯაპას ტადართჰაბჰავანამ

ტაჯჯაპას – მისი სახელის გამეორება;
ტად – იგი;
ართჰა – ღირებულება;
ბჰავანამ – ყოფიერება;

- **მისი წმინდა სახელის გამეორება ცხოვრების მთავარი ღირებულებაა;**

29. ततः प्रत्यक्चेतनाधिगमोऽप्यन्तरायाभवश्च ॥२९॥

ტატაჰ პრატიაკჩეტანადჰიგამო'პი–ანტარაიაბჰავაშ–ჩა

ტატაჰ – აქედან (წმინდა სახელის გამეორების შედეგად);
პრატიაკჩეტანადჰიგამო – სულიერი ცნობიერების განცდა;
აპი – ჭეშმარიტად;
ანტარაია – დაბრკოლებები;
აბჰავაშ – გაქრობა;
ჩა – ასევე;

- **ამ გამეორების შედეგად ჭეშმარიტად ჩნდება სულიერი განცდები და ქრება დაბრკოლებები სულიერი განვითარების გზაზე;**

30. व्याधि स्त्यान संशय प्रमादालस्याविरति भ्रान्तिदर्शनालब्धभूमिकत्वानवस्थितत्वानि चित्तविक्षेपाः ते अन्तरायाः ॥३०॥

ვიადჰი–სტიანა–სამშაია–პრამადა–ალასია–ავირატე–ბჰრანტიდარშანა–ალაბდჰაბჰუმიკატვა –ანავასტჰიტატვანი ჩეტავიკშეპას ტე ანტარაიაჰ

ვიადჰი – ავადმყოფობა;
სტიანა – გონებრივი სიზარმაცე;
სამშაია – ეჭვები;
პრამადა – გულგრილობა, ფორმალური, მექანიკური მიდგომა;
ალასია – მოთენთილობა, ინერტულობა;
ავირატე – თავშეუკავებლობა;
ბჰრანტი–დარშანა – ცრუ გამოცხადება, ჰალუცინაცია;
ალაბდჰა–ბჰუმიკატვა – კონცენტრაციის უუნარობა, ჭკუის მოუსვენრობა;
ანავასტჰიტატვანი – კონცენტრაციის არასტაბილურობა, მიღწეული დონის ვერშენარჩუნება;
ჩეტავიკშეპა – ჭკუის გაფანტულობა;
ტე – ესენი;
ანტარაია – შინაგანი დაბრკოლებები;

- **ავადმყოფობა, სიზარმაცე, ეჭვები, გულგრილობა, ინერტულობა, თავშეუკავებლობა, ცრუ ხილვები, კონცენტრაციის უუნაროობა და**

არასტაბილური კონცენტრაცია შინაგანი დაბრკოლებებია საიდანაც მოდის ჭკუის დაფანტულობა;

31. दुःखदौर्मनस्याङ्गमेजयत्वश्वासप्रश्वासाः विक्षेप सहभुवः ॥३१॥

დუკჰა დაურმანასია ანგამ–ეჯაიატვა შვასა–პრაშვასაჰ ვიკშეპა–საჰაბჰუვაჰ

დუკჰა – დარდი;

დაურმანასია – ჭკუის ცუდი განწყობა, სასოწარკვეთა;

ანგამ–ეჯაიატვა – სხეულის ნაწილების მოუსვენრობა ერთ პოზაში ხანგძლივად ყოფნისას;

შვასა–პრაშვასაჰ – არათანაბარი სუნთქვა;

ვიკშეპა–საჰაბჰუვაჰ – ცნობიერების გაფანტულობის თანამგზავრები;

- **ჭკუის გაფანტულობას თან ახლავს დარდი, სასოწარკვეთა, სხეულის მოუსვენრობა და არათანაბარი სუნთქვა;**

32. तत्प्रतिषेधार्थमेकतत्त्वाभ्यासः ॥३२॥

ტატ პრატიშედჰართჰამ ეკა–ტატვა აბჰიასა

ტატ – ამის (ჭკუის გაფანტულობის);

პრატიშედჰართჰა – თავიდან აცილება;

ეკა–ტატვა – ერთი არსი, ერთი ჭეშმარიტება, ერთი ობიექტი ;

აბჰიასა – ვარჯიში;

- **ჭკუის გაფანტულობის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ვარჯიში ერთ ობიექტზე კონცენტრაციაში;**

33. मैत्री करुणा मुदितोपेक्षाणांसुखदुःख पुण्यापुण्यविषयाणां भावनातः चित्तप्रसादनम् ॥३३॥

მაიტრი კარუნა მუდიტოპეკშანამ სუკჰა–დუკჰა პუნია–აპუნიავიშაიანამ ბჰავანატაშ ჩეტაპრასადანამ

მაიტრი – დამეგობრება;

კარუნა – თანაგრძნობა;

მუდიტა – სიმპათიები;

უპეკშანამ – ნეიტრალურობა, თავის შეკავება;

სუკჰა–ვიშაიანამ – მათ მიმართ ვინც ბედნიერია;

დუკჰა–ვიშაიანამ – მათ მიმართ ვინც იტანჯება;

პუნია–ვიშაიანამ – მათ მიმართ ვინც ღირსეულია;

აპუნია–ვიშაიანამ – მათ მიმართ ვინც უღირსია;

ბჰავანატაშ – რაიმე თვისებების განვითარება, კულტივაცია;

ჩეტაპრასადანამ – ცნობიერებისათვის წყალობის მიმცემი, განმწმენდი;

- **ჭკუაზე სასიკეთო ზემოქმედებას ახდენს შემდეგი თვისებების განვითარება: ბედნიერ ადამიანებთან დამეგობრება, ტანჯულთა მიმართ თანაგრძნობა, ღირსეულთა მოწონება და უღირსთაგან თავის არიდება;**

34. प्रच्छर्दनविधारणाभ्यां वा प्राणस्य ॥३४॥

პრაჩჩჰარდანა ვიდჰარანაბჰიამ ვა პრანასია
პრაჩჩჰარდანა – ნელი ამოსუნთქვა;
ვიდჰარანაბჰიამ –შეკავება;
ვა – ასევე;
პრანასია – პრანის მიმოქცევა, სუნთქვა;

- **ასევე ნელი ამოსუნთქვა და სუნთქვის შეკავება;**

35. विषयवती वा प्रवृत्तिरुत्पन्ना मनसः स्थिति निबन्धिनी ॥३५॥

ვიშაიავატი ვა პრავრიტიუტპანა მანასაჰ სტჰიტი ნიბანდჰინი
ვიშაიავატი – ზებუნებრივი;
პრავრიტი – მზაობა;
უტპანა – წარმოქმნილი;
მანას – ჭკუა;
სტიტჰი–ნიბანდჰინი – სტაბილურობის თვისება;

- **ასევე ზებუნებრივი განცდები ანიჭებს ჭკუას სტაბილურობას;**

36. विशोका वा ज्योतिष्मती ॥३६॥

ვიშოკა ვა ჯიოტიშმატი
ვიშოკა – ტანჯვისაგან თავისუფალი;
ვა – ასევე;
ჯიოტიშმატი –გასხივოსნება;

- **ასევე ტანჯვისაგან განთავისუფლება და ნათელის გადმოსვლა;**

37. वीतराग विषयम् वा चित्तम् ॥३७॥

ვიტა რაგა ვიშაიამ ვა ჩიტამ
ვიტა რაგა ვიშაიამ – ვინც დაძლია მიჯაჭვულობა;
ვა – ასევე;
ჩიტა – ცნობიერება;

- **ასევე იმ პიროვნებაზე მედიტაცია რომელმაც დაძლია მიჯაჭვულობა და მიაღწია ჭკუის სიმშვიდეს;**

38. स्वप्ननिद्रा ज्ञानालम्बनम् वा ॥३८॥

სვაპნა–ნიდრა–გიანალამბანამ ვა
სვაპნა – სიზმარი;
ნიდრა – ძილი;
გიანა – ცოდნა;
ალამბანა – დაყრდნობილი;
ვა – ასევე;

- **ასევე სიზმარში ან ღრმა ძილში მიღებული ცოდნა;**

39. यथाभिमतध्यानाद्वा ॥३९॥

იატაბჰიმატა–დჰიანად ვა
იატაბჰიმატა – რაიმე სასიამოვნო;
დჰიანა – მედიტაცია;
ვა – ასევე;

- **ასევე რაიმე სასიამოვნოზე მედიტაცია;**

40. परमाणु परममहत्त्वान्तोऽस्य वशीकारः ॥४०॥

პარამანუ–პარამა–მაჰატვანტო' სია ვაშიკარაჰ
პარამანუ–პარამა–მაჰატვანტა – უმცირესიდან უდიდესამდე;
ასია – მისი(იოგის, რომელმაც მიაღწია ჭკუის მოთოკვას);
ვაშიკარაჰ – გაბატონება

- **მისთვის ვინაც ჭკუა მოთოკა ყოველივე საცნაურია ამ სამყაროში – უმცირესიდან უდიდესამდე, მარტივიდან ურთულესამდე;**

41. क्षीणवृत्तेरभिजातस्येव मणेर्ग्रहीतृग्रहणग्राह्येषु तत्स्थतदञ्जनता समापत्तिः ॥४१॥

კშინა–ვრიტერ აბჰიჯატასიევა მანერ გრაჰიტრა–გრაჰანა–გრაჰიეშუ ტატ–სტჰა ტად–ანჯანატა სამაპატიჰ
კშინა–ვრიტეჰ – როდესაც ცნობიერებაში აღძრული ტალღები მიილევა, ანუ დამშვიდებული ჭკუა;
აბჰიჯატასია – გამჭვირვალობა;
ივა – თითქოს;

მანერ – კრისტალის;
გრაჰიტრა – შემმეცნებელი;
გრაჰანა – შემეცნების ინსტრუმენტი – გრძნობები;
გრაჰიეშუ – შესაცნობი ობიექტი;
ტატ–სტჰა – მასში (შესაცნობ ობიექტში) შესვლა, დამკვდრება;
ტად – ანჯანატა – მას (შესაცნობ ობიექტს) განმსჭვალავს;
სამაპატიჰ – სრულად გაიგივება (შესაცნობ ობიექტთან).

- **ისევე როგორც გამჭვირვალე კრისტალი ღებულობს მის უკან მყოფი საგნის შეფერილობას, დამშვიდებული ჭკუა შესაცნობ ობიექტს განმსჭვალავს და სრულად იგივდება მასთან. ამ დროს ჭკუა თავად არის შემმეცნებელიც, შეცნობის საშუალებაც და შესაცნობი ობიექტიც;**

42. तत्र शब्दार्थज्ञानविकल्पैः संकीर्णा सवितर्का समापत्तिः ॥४२॥

ტატრა შაბდართჰაგიანა–ვიკალპაი სანკირნა სავიტარკა სამაპატიჰ
ტატრა - აქ;
შაბდა - სიტყვა, აღსაქმელი ობიექტის შესაბამისი სახელი-ვიბრაცია სივრცეში;
არტჰა - ღირებულება - ამ შემთხვევაში ობიექტის ექვივალენტი მნიშვნელობა გრძნობებისა და ტანმატრის დონეზე;
გიანა - ცოდნა - ამ შემთხვევაში ცნობიერებაში აღძრული ობიექტის ხატება;
ვიკალპა - წარმოსახვა;
სანკირნა - შეთავსებული, გადაჯაჭვული;
სავიტარკა სამაპატი - ლოგიკური აღქმა.

- **დასაწყისში, როცა შესაცნობი ობიექტის ხატება, მისი სახელი და მნიშვნელობა ერთმანეთზე არიან გადაჯაჭვულნი, აღქმა არის სავიტარკა, ანუ განსჯისა და გრძნობების საშუალებით;**

43. स्मृतिपरिशुद्धौ स्वरूपशून्येवार्थमात्रनिर्भासा निर्वितर्का ॥४३॥

სმრიტი–პარიშუდჰაუ სვარუპა–შუნიევართჰა–მატრა–ნირბჰასა ნირვიტარკა
სმრიტი - მეხსიერება;
პარიშუდჰა - გაწმენდილი;
სვარუპა შუნია - საკუთარი ფორმას მოკლებული;
ვა - ასევე;
ართჰა-მატრა-ნირბჰასა - მნიშვნელობისაგან თავისუფალი, არაგრძნობიერი;
ნირვიტარკა - არაგრძნობიერი აღქმა (ნირვიკალპა სამადჰი).

- **როცა მეხსიერება გაწმენდილია წარსულის შთაბეჭდილებებისაგან, შესაძლებელი ხდება ობიექტის სახელის, მნიშვნელობისა და ხატების განცალკევებულად აღქმა. ამ დროს ცნობიერება საკუთარი ფორმისაგან**

თავისუფლდება, შესაცნობი ობიექტის ფორმას ღებულობს და აღქმა არის ნირვიტარკა, ანუ განსჯისა და გრძნობების გარეშე;

44. एतयैव सविचारा निर्विचारा च सूक्ष्मविषय व्याख्याता ॥४४॥

ეტაიაივა სავიჩარა ნირვიჩარა ჩა სუკშმა–ვიშაია ვიაკჰიატა

ეტაივა - ასეთივეა;
სავიჩარა - აღქმა, ამ დროს პიროვნება(სული) ობიექტებს აღიქვამს ცნობიერებაში აღძრული ხატების საშუალებით;
ნირვიჩარა - აღქმა ცნობიერების გარეშე, როცა დამკვირვებელი(სული) ობიექტებს აღიქვამს უშუალოდ, ცნობიერებაში აღძრული ხატების გარეშე;
ჩა - ასევე;
სუკშმა ვიშაია - ნატიფი დონეები;
ვიაკჰიატა - განმარტება;

- **ასევე განიმარტება აღქმა ნატიფ დონეებზე: სავიჩარა და ნირვიჩარა;**

45. सूक्ष्मविषयत्वम्चालिण्ग पर्यवसानम् ॥४५॥

სუკშმა–ვიშაიატვამ ჩა ლინგა–პარიავასანამ

სუკშმა-ვიშაია - ნატიფი დონეები(ატმა და პარამატმა);
ტვამ ჩა - ასევე შენში;
ლინგა პარიავასანამ - ცნობიერზე მაღლა.

- **ნატიფი სფეროები ცნობიერის მიღმა იწყება;**

46. ता एव सबीजस्समाधिः ॥४६॥

ტა ევა საბიჯა სამადჰიჰ

ტა - ესენი (ფაქიზ სფერომდე);
ევა - მხოლოდ;
ბიჯა - მარცვალი, თესლი;
საბიჯა სამადჰი - სამადჰი ნარჩენი კარმული ანაბეჭდებით;

- **ნატიფ სფეროებამდე აღქმას ყოველთვის მოაქვს კარმული შედეგები;**

47. निर्विचारवैशारद्येऽध्यात्मप्रसादः ॥४७॥

ნირვიჩარა–ვაიშარადჰე’დჰიატმა–პრასადაჰ

ნირვიჩარა - არაცნობიერი, სულიერი სამადჰი;
ვაიშარადჰე - მშვიდი, შეურყეველი დინება;

ადჰიატმა - სულისმიერი;
პრასადაჰ - წყალობა.

- მშვიდი და შეურყეველი ნირვიჩარა სულიდან მომდინარე წყალობაა;

48. ऋतंभरा तत्र प्रज्ञा ॥४८॥

რიტამ–ბჰარა ტატრა პრაგია
რიტამ ბჰარა - ჭეშმარიტების მატარებელი;
ტატრა პრაგია - ის ცოდნა (ნირვიჩარა აღქმა).

- ნირვიჩარას დროს მიღებული ცოდნა ჭეშმარიტებას ასახავს;

49. श्रुतानुमानप्रज्ञाभ्यामन्यविषया विशेषार्थत्वात् ॥४९॥

შრუტანუმანა–პრაგიაბჰიამ ანია–ვიშაია ვიშეშართჰატვატ
შრუტი - წმინდა წერილები, შასტრები;
ანუმანა - გონებრივი განსჯა;
პრაგიაბჰიამ - მიღებული ცოდნა;
ანია ვიშაია - სხვა რეალობა;
ვიშეშართჰა - განსხვავება;
ტვად - მისაგან (ნირვიჩარა სამადჰის განცდა).

- ნირვიჩარას დროს მიღებული ცოდნა მნიშვნელოვნად განსხვავდება როგორც გრძნობებისა და განსჯის საშუალებით, ასევე და წმინდა წერილების თეორიული შესწავლით მიღებული ცოდნისაგან;

50. तज्जस्संस्कारोऽन्यसंस्कार प्रतिबन्धी ॥५०॥

ტაჯჯ–ჯა სამსკარო' ნია–სამსკარა–პრატიბანდჰი
ტაჯჯ-ჯა - მისგან შობილი;
სამსკარა - შთაბეჭდილება, ცნობიერებაში აღბეჭდილი კვალი;
ანია სამსკარა - სხვა სამსკარები;
პრატიბანდჰი - დათრგუნვა.

- ნირვიჩარას დროს შობილი სამსკარები შლის მანამდე არსებულ სხვა სამსკარებს;

51. तस्यापि निरोधे सर्वनिरोधान्निर्बीजः समाधिः ॥५१॥

ტასიაპი ნიროდჰე სარვა–ნიროდჰან ნირბიჯა სამადჰიჰ

ტასია აპი - თვით ამის (ნირვიჩარა სამადჰისაგან შობილი სამსკარები);
ნიროდჰე - მოთოკვა;
სარვა ნიროდჰა - ყოველგვარი მატერიალური ტენდენციების მოთოკვა, განთავისუფლება;
ნირბიჯა - კარმიული ანაბეჭდებისაგან თავისუფალი.

- **როცა თვით ნირვიჩარას დროს შობილი სამსკარები აილაგმება, მატერიალური ტენდენციები ქრება და სული სამუდამოდ თავისუფლდება. ეს არის ნირბიჯა სამადჰი - კარმული ანაბეჭდებისაგან თავისუფალი სრულყოფილი აღქმა.**

იტი პატანჯალა იოგასუტრე სამადჰიპადა პრათჰამაჰ

ასეთია პატანჯალის იოგა სუტრების პირველი ნაწილი - სამადჰიპადა